

Reflection of the Russian-Ottoman War of 1877-1878 in Kobuleti Folklore
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის ანარეკლი ქობულეთურ
ფოლკლორში

Roin Malakmadze

PhD in History, Director of Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University

E-mail: roin.malakmadze@bsu.edu.ge

Tel: +995 577 20 38 38

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>

Saba Kalendarishvili

Master in Ethnology, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

E-mail: sabakalanda@gmail.com

Tel: +995 595 07 01 52

ORCID: <https://orcid.org/0009-0003-1815-9810>

Abstract: Our paper deals with the depiction of the Russian-Ottoman war of 1877-1878 in the folklore of the bordering Kobuleti, which had the closest connection with Guria. The cultural similarities between the historical Kvemo Guria and the population remaining under the Russian Empire were palpable. In 1873, Dimitri Bakradze traveled to South-West Georgia, according to his description: „From the border of Guria to Batumi, the population consists entirely of Georgian elements (except for the Circassians) and their language is no different from the Guruli Kilo. The type of inhabitants, clothes, customs are also Guruli.” Therefore, it is not at all surprising that in Kobuleti folklore, together with Adjarian, Guruli elements can be felt.

The war of 1877-1878 was one of the bloodiest and at the same time fruitful for Georgia. The expectation of the Georgian society from this war was the return of the Georgian lands to the motherland, which is why they met the start of the war with great joy. as in other cases, the Caucasian front was given great importance in this war as well. The main combat operations took place in several directions. As a result of the war, the Russian Empire in the Caucasus received the cities of Artaan, Kars, Batumi (with porto-franco status) and the entire territory up to the Soghanlugh mountains, i.e. A significant part of southern Georgia and western Armenia was freed from Ottoman rule. In addition to human losses, this war was accompanied by the complete impoverishment of the already poor population, forced migration (Muhajiroba), extortion, transition to a new administrative system and getting used to it, etc. On the background of this difficult situation, a number

of poems, sayings, songs appeared among the local population. A certain part of them survived among the population and reached the present day.

The aim of the article is to present the folklore samples of the mentioned period in a unified form, because this is a good way to clearly perceive the historical and cultural reality of South-western Georgia in the second half of the 19th century.

Keywords: Folklore, Adjara, Kobuleti, Guria, Russo-Ottoman War, Verbal folklore.

როინ მალაკმაძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის დირექტორი

ელ-ფოსტა: roin.malakmadze@bsu.edu.ge

ტელ: +995 577 20 38 38

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>

საბა კალანდარიშვილი

ეთნოლოგიის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ელ-ფოსტა: sabakalanda@gmail.com

ტელ: +995 595 07 01 52

<https://orcid.org/0009-0003-1815-9810>

აბსტრაქტი: 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი გამოდგა ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი და ამავედროულად შედეგიანი საქართველოსთვის. ქართული საზოგადოების მოლოდინი ამ ომისგან ქართული მიწების დედასამშობლოსთან დაბრუნება იყო, რის გამოც ის დიდი ალტკინებითა და სიხარულით შეხვდა ომის დაწყებას. ტრადიციულად, როგორც სხვა შემთხვევაში, ამ ომშიც კავკასიის ფრონტს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ძირითადი, საბრძოლო მოქმედებები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. ომის შედეგად რუსეთის იმპერიამ კავკასიაში მიიღო ქალაქი არტაანი, ყარსი, ბათუმი (პორტო-ფრანკოს სტატუსით) და მთელი ტერიტორია სოღანლულის მთებამდე, ე.ი. ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლებულ იქნა სამხრეთ საქართველოს და დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა ადამიანური დანაკარგებისა ამ ომს თან ახლდა ისედაც ღარიბი მოსახლეობის სრულად გალატაკება, იძულებითი გადასახლება (მუჰაჯირობა), გახიზვნა, ახალ ადმინისტრაციულ წყობილებაში გადასვლა, მასთან შეგუება და ა.შ. ამ რთული ვითარების ფონზე ადგილობრივ მოსახლეობაში გაჩნდა არაერთი

ლექსი, გამოთქმა, სიმღერა და შაირი. მათი გარკვეული ნაწილი შემორჩა მოსახლეობაში ზეპირსიტყვიერების გზით და დღემდე მოაღწია.

ნაშრომი ეხება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის ასახვას ქობულეთურ ფოლკლორში, რომელსაც ყველაზე ახლო კავშირები ჰქონდა გურიასთან. სტატიის მიზანია სრულფასოვნად აღადგინოს, შეკრიბოს და ერთიანი სახით წარმოადგინოს აღნიშნული პერიოდის ფოლკლორული ნიმუშები, რადგან ეს კარგი საშუალებაა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ საზღვრისპირა მოსახლეობის ისტორიული და კულტურული რეალობის ნათლად აღქმისთვის.

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, აჭარა, ქობულეთი, გურია, რუსეთ-ოსმალეთის ომი, ზეპირსიტყვიერება.

შესავალი: ფოლკლორი უმნიშვნელოვანესი ფენომენია მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში. მისი გაჩენა ადამიანთა მეტყველების გაჩენასთან ერთად უნდა მომხდარიყო. უპირველესყოვლისა ფოლკლორი ხალხური ყოფის ფიქსაციის საშუალებაა, რადგან მასში ძირითადად ასახულია კონკრეტულ ხალხთა თვითმყოფადი ელემენტები, ცხოვრების ავთენტური სტილი და სხვა ყოფითი-კულტურული მახასიათებლები. ის აერთიანებს ხალხის სულიერი და მატერიალური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს და წარმოდგენილია როგორც საკუთრივ მხატვრულ-გამომსახველობითი, ასევე სხვა საშუალებებითა და ფორმებით, მათ შორის სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო მოქმედებებით, ცეკვებით, სიმღერებით, ზეპირი გადმოცემებით, ხუმრობებით, ანდაზებით, ზღაპრებით და ა.შ აქედან გამომდინარე, ეთნოსთა მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერი სწორედ ფოლკლორია.

გარდა მისი ეთნოლოგიასთან მჭიდრო სიახლოვისა, ის ხშირად გამოიყენება კონკრეტული ისტორიული პერიოდისა თუ ფაქტის კვლევის პროცესში. მართალია ფოლკლორული ნიმუშები შეიცავს გარკვეულ ინდივიდუალურ ინტერპრეტაციულ ნიშნებს, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვან მასალად ითვლება.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მნიშვნელობაზე მეტყველებს უმდიდრესი ქართული ფოლკლორული საგანძური, რომელიც ომის შემდგომ კიდევ უფრო გაამდიდარა აჭარა-გურიის მოსახლეობის ზეპირსიტყვიერებამ. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ქართველ მაჰმადიანთა ბედით, თვითონ ეწვია აჭარას, მოიარა მისი მიწა-წყალი და ბევრი რამ ჩაიწერა, აღწუსხა და გამოაქვეყნა ფოლკლორის დარგში. განსაკუთრებით დიდ საქმეს ეწეოდა იმ დროინდელი პერიოდული გამოცემები, რომელშიც

ქვეყნებოდა სამუსლიმანო საქართველოდან გამოგზავნილი ფოლკლორული ნიმუშები. შედარებით უფრო ინტენსიური შემკრებლობითი მუშაობა ამ კუთხით მხოლოდ ომის შემდეგ დაიწყო, ისიც ბათუმ-ქობულეთსა და მათ ახლო მახლო მიდამოებში. შემორჩენილია უამრავი ლექსი, რომელიც შემდგომში სიმღერად აქცია ხალხმა, თქმულება, შელოცვა და ა.შ. მათი გარკვეული ნაწილი ეხმიანება რუსეთ-ოსმალეთის ომს, ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის ეს იყო მთავარი მნიშვნელობის მოვლენა.

მეთოდოლოგია: ვინაიდან ჩვენი მიზანი იყო განსაზღვრული პერიოდისა და ისტორიული პროცესების გათვალისწინება, დასახელებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად გამოვიყენეთ ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდები, კერძოდ: ისტორიული და შედარებითი მეთოდები, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები, სინთეზური ანალიზის მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდი, შედარება-შეპირისპირების და ჰერმენევტიკული გააზრების მეთოდები.

დისკურსია/შედეგები: მიუხედავად რთული გეოპოლიტიკური და ისტორიული ვითარებისა აჭარულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაზე უცხო მუსიკალურ კულტურას გავლენა არ მოუხდენია, ოდნავი ცვლილებაც კი არ შეუტანია მის მელოდია-ინტონაციურ თუ კილოურ სტრუქტურაში (მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან., : 1961). ცნობილია, რომ აჭარულ სასიმღერო ფოლკლორს (განსაკუთრებით ქობულეთურს) მჭიდრო კავშირი აქვს გურულ სასიმღერო შემოქმედებასთან, რაც განპირობებული იყო ერთმანეთთან სიახლოვით და მჭიდრო ყოფითი ურთიერთობებით. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ბატონობის პერიოდში აჭარა ჩამოშორებული იყო საერთო ქართულ კულტურულ განვითარებას, ქობულეთის სოფლები: (ლელვა ,ცხრაფონა, ჩეხედანა, სკურა, წყავროკა, ქაქუთი, ნაცხავატევი, აჭი, მუხაესტატე, ალამბარი, აჭყვისთავი, ხუცუბანი, სამება, გვარა, კვირიკე, კოხი, კონდიდი, ჭახათი, კობალაური, სოფ.ქობულეთი და სხვა.) მაინც დაკავშირებული იყო მუსიკალური ტრადიციებით გურიის სოფლებთან: (ჭანიეთი, ლიხაური, ნიაბაური, ჯურუყვეთი, ჩოჩხათი, მაკვანეთი, ბაილეთი, შემოქმედი და სხვა.) ამ ორი კუთხის ისტორიულ სასიმღერო კავშირებზე მეტყველებს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ქობულეთის გამაჰმადიანებული ბეგი ჰასან-ბეგ თავდგირიძე კარგი მომღებნი, ქართული სიმღერების დიდად მოყვარული კაცი ყოფილა. იგი თურმე ფარულად გადადიოდა გურიაში, რათა იქაურ მომღერლებთან ერთად დრო გაეტარებინა, ექეიფა და ემღერა. ქობულეთის ბეგს ძალიან ყვარებია გურული სიმღერა და თვითონაც კარგი შემსრულებელი ყოფილა. 1915 წელს ჟურნალ „განთიადში“ ნიკო თავდგირიძე წერს: „გურულები უცბად, მოულოდნელად დაესხნენ თავს,

გურიაში სახელგანთქმული, ხალხთან სიმღერებით შეთვისებული რაინდი, ხასან ბეგი მოკლეს და მისი თავი რუსის მთავარსარდალს მიართვეს“ (განთიადი., 1915: 9-10). ამ გარემოებების შესახებ ლექსი აქვს დაწერილი ყარამან თავდგირიძეს,⁷⁸ რომელიც მოგვიანებით გავრცელდა ხალხში „ხელხვავის“ და „ხასანბეგურას“ სიტყვებად და ბრწყინვალე, რთული მუსიკალური ხმოვანებით შეზავებული სიმღერა შეიქმნა. ასეთივე ურთიერთობა ჰქონდა მოგვიანო ხანებში ალი ფაშა თავდგირიძეს გურიის მთავრის, გრიგოლ გურიელის ოჯახთან, რაც ამ ორი გვარის ახლო ნათესაობიდან გამომდინარეობდა.

როგორც გურული, ისე აჭარული საგუნდო სიმღერა ემყარება ზოგადქართული ხალხური პოლიფონიური მრავალხმიანობის პრინციპს, მისი განვითარების და იმპროვიზაციის დამახასიათებელი კანონზომიერებებით. მუსიკალური კულტურის ერთიან საფუძველზე მეტყველებს ძირითადი, ფართოდ ცნობილი სიმღერები, როგორებიცაა - „ხასანბეგურა“, „შვიდკაცა“, „ალი ფაშამ გვიღალატა“, „ყარანაი“, „ხელხვავი“, „ელისა“ და სხვა. „აღსანიშნავია, რომ ქობულეთის რაიონის გურიის მოსაზღვრე სოფლები გამოირჩევა სასიმღერო მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით ნადური სიმღერებით. ხალხის გადმოცემით 32 სიმღერა შესრულდებოდა ნადზე და თითოეულს თავისი ლექსი ჰქონდა“ (ნოღაიდელი., 1971: 156).

ყველაზე ცნობილი სასიმღერო ფოლკლორული ნიმუში ამ პერიოდიდან ეძღვნება ალი ფაშას და მის ღალატს. ალი ფაშა თავდგირიძე იყო ქობულეთის გამაჰმადინებული ბეგი და გენერალ-მაიორი, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა 1877-1878 წლების ომის დროს. ალი ფაშას გადაბირებას აქტიურად ცდილობდა რუსული მხარე. მექრთამეობით განთქმული ქობულეთის ბეგი მალე ღალატის მოტივით თანამდებობიდან გადააყენეს და სტამბოლში გაიწვიეს, რადგან მას დაბრალდა ომის დროს დაკისრებული ზოგიერთი მოვალეობის შეუსრულებლობა, ბათუმის არმიის მეთაურისადმი დაუმორჩილებლობა და რუსებთან ფარულ კავშირში შესვლა. სწორედ მისი იქ ყოფნის პერიოდში ქობულეთელებმა ლექსი გამოთქვეს და შემდგომში ადგილობრივების მიერ ბრწყინვალე მრავალხმიანი სიმღერა შეიქმნა. ზაქარია ფალაიაშვილი მის მიერ სოფელ აკეთში ჩაწერილ „ხელხვავის“ ერთ-ერთ ვარიანტზე შენიშნავდა: „ზოგნი ამ სიმღერას „ალიფაშას“ ვარიანტს ემახიან, თუმცა როგორც თვით მომღერლებმა, ისე სხვა გურული სიმღერის მცდონე პირებმა დამარწმუნეს, რომ ეს სიმღერა არის მეორე ნაირი (მველი) ხელხვავიო.“ („ბრძოლის დროშა“ .., 1956: 2).

⁷⁸ ბიძაშვილად ერგებოდა ჰასან-ბეგ თავდგირიძეს.

„ალიფაშას“ აღმოჩენის ისტორია მეტად საინტერესოა. თურმე, ერთხელ ივლიანე კეჭაყმაძეს გურიაში ახალი ამბავი გაუვრცელებია, რომ ქობულეთის რაიონში ახალი სიმღერა უმღერიათ და ჯერ გურიაში არავინ იცისო. გურული მომღერლები ქობულეთში წავიდნენ, რათა ახალი სიმღერა შეესწავლათ. გაიგეს, რომ ქაქუთში დიდი ქორწილი იყო, ხუცუბნიდან მოჰყავდათ ქალი. ქორწილი სიმღერის გარეშე არ ჩატარდებოდა. სიმღერის „მოსაპარად“ წავიდნენ: გიგო ერქომაიშვილი, გიორგი ბაბილოძე და გიორგი იობიშვილი (ერქომაიშვილი., 2000: 137-148). მომღერლები ქორწილში დაუპატიჟებლად მივიდნენ და მაყარს შეეერივნენ, ისე რომ მასპინძლებს მაყარები ეგონათ. ქორწილში გაიმართა გურულ-აჭარული სიმღერების შეჯიბრი, სადაც გამოიკვეთა, რომ ქაქუთლები ხუცუბნელებს სჯობნიდნენ. ზოგადად, სიმღერაში პაექრობა ზოგადქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. განსაკუთრებით ქობულეთში ხშირად იმართებოდა თურმე შეჯიბრება ე.წ. „გადაკიდება“ ხმასა და ცოდნაში. „მთქმელი-მთქმელს გადაეკიდებოდა, გამყივანე-გამყივანეს, შემხმობრი-შემხმობოს, ბანი-ბანს და სიმღერა უფრო საინტერესო ხდებოდა“ (ნოღაიდელი., 1971: 157.) შუა ლამისკენ ხუცუბნელმა ძმებმა: მურად, რიფათ, ხუსეინ და რამიზ თამაზაშვილებმა⁷⁹ ახალი სიმღერა წამოიწყეს, რომელიც ძალიან ლამაზი იყო და თანაც მასპინძლებმა ვეღარ გაიმეორეს იგი. ძმები თამაზაშვილების შვილიშვილი ია თამაზაშვილი იხსენებს ბაბუის მონაყოლს, რომ გურულები სიმღერის მოსმენის შემდეგ „გადეირიენო“. კიდევ ორი გამეორების შემდეგ გურულებმა სიმღერა უკვე ზეპირად იცოდნენ. ეს იყო „ალი ფაშა“. ასე მოიპარეს გიგო ერქომაიშვილმა და მისმა მეგობრებმა „ალიფაშა“ აჭარლებისგან და გაავრცელეს გურიაში.

„ალიფაშას“ ერთ-ერთი ვერსია უმღერია სტალინსაც, რომელიც ციხეში ყოფნის დროს მისთვის მელქისედეკ გუნთაიშვილს უსწავლებია. ამ ფაქტის შემდეგ „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი ყველამ დაივიწყა და სტალინის მიერ ნამღერი ტექსტი დამკვიდრდა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული რევოლუციური მოძრაობის სიმღერა იყო „ალიფაშა“. 1902 წლის 9 მარტის როტშილდის ქარხნის მუშების გამოსვლის დროს პორფირი ქურიძე ყვებოდა: „სოსოს რჩევით, სიმღერა დავიწყეთ. ჩვენ არ ვიცოდით რევოლუციური ჰიმნები, ამიტომ „ალიფაშა“ ვიმღერეთ“ (მონტეფიორე., 2009: 104.) ანზორ ერქომაიშვილის აზრით „ალიფაშას“ ტექსტი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადააკეთეს, რადგან ისეთი სახით არ იყო მათთვის მისაღები. პირველი სტროფი ამოდებულ იქნა, ხოლო სადაც „რუსი“ იყო ნახსენები სხვა სიტყვით შეცვალეს. გურულების მიერ „მოპარული“ „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი კი ასეთი იყო:

⁷⁹ მათთან ერთად გამყივანე იყო ხუსეინ მყავანაძე.

„ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს,
იგი არის ორივეში,
ალი ფაშამ გვიღალატა,
აგვიყვანა კვირიკეში,
მან რომ ფულები აიღო,
ჩვენ დაგვტია რუსის ხელში,
კაი რომ არ დამართია,
ბაწრით ჩაათრიეს გემში;
მისი ყვირილი გვესმოდა,

სუფსას გაღმა ბაილეთში“ („ივერია“..., 1891: 2)

მთქმელი ნიშნის მოგებით ამბობს: „კაი არც მას დამართნია, ბაწრით ჩაითრიეს გემში...“. ეს ლექსი საუკეთესოდ გამოხატავს ხალხის დამოკიდებულებას თავიანთი მმართველის მიმართ.

გარდა ამისა, ქობულეთის მოსახლეობამ ალი-ფაშას კიდევ ერთი ლექსი გამოუთქვა, რომელიც დღემდე შემორჩა:

„დავჟდეთ და ლექსი გამოვთქვათ ამ ალი ფაშის ხილია.
ჩურუქსუს ჩამოგვეკიდა, აღარ მოგვცა რახათია,
ოღლანებსა თუ იკითხავთ, ყველთვინ ახლავს სამ-ოთხია.
ქაქუთლებსა მისჩოვია კას დამწიფულ წყავსავითო,
ღმერთო, ცოფს გაატკლევით, ეშვი მას აქ ტახსავითო.
ოსმან ბეგსა დიესიზმა გამცდარიყო სახლის თავზე,
ადგა დილას, დუუმოწმა: არ წახვიდე სხვის საქმეზე,
მუხაისტატეს რომ ამოვდა, გულში შეიქნა სიცილი;
აჭყვაში რომ ამოვიდა, მაშინ აჭამეს სირცხვილი,
ახალ თათრი იოსეფას აცვია წივზე ზანკალი,
ღმერთო, ფაშა ისე მორთე, არ გააწევიე ზამთარი.
მისთანის ნახვას ჩივოდეს, საშიშრათ იყოს გამხდარი.

გამოუგდია ტარაზი, დასაფსებულ ჭაკსავეთო,
ზრუგში რაცხა წამუუსხამს ბრეში მგელის ტყავსავეთო” (ხარაზი..., 1993: 402-403)

რუსეთის ჯარის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე ქობულეთის მოსახლეობა ოსმალთა დაქვემდებარებაში იბრძოდა. მოსახლეობის ნაწილმა რუსეთის მხარეზე გადასვლა დაიწყო. გადამსვლელთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა, როგორც ცალკეული პირების, ისე ჯგუფების სახით. ქობულეთელი ყურშუმ-ალა ჭყონია მისდამი დაქვემდებარებულ ქობულეთელ ცხენოსანთა 150 კაციანი მებრძოლი რაზმით გადავიდა ქართველთა მხარეზე (კომახიძე., 1997: 97). ამის გამო, ოსმალებმა ყურშუმ ჭყონიას სახლ-კარი გადაუწვეს, ცოლ-შვილი კი

ოსმალეთში გადაუსახლეს.⁸⁰ ასევე, რუსეთის ქვეშევრდომად გამოაცხადა თავი სოფელ ქაქუთის მაჰმადიანურმა მოსახლეობამ. ომის დაწყებისა და საზღვრის მდინარე კინტრიშზე გადაწევის შემდგომ კი უკვე სოფ. ქობულეთის 26 კომლი გადავიდა რუსეთის მხარეს (ახვლედიანი., 1956: 120).

ხალხური გადმოცემით, 60 კომლზე მეტი მოსახლე: დედე ალა ნიჭარაძე, ესედ ალა წილოსანი, ყურშუმ ალა ჭყონია, ისმაილ ეფენდი მჟავანაძე, შირინ ალა ინაიშვილი, ახმედ ალა გუგუნავა, ალი ალა შაქროლი (შაქარიშვილი), სეფერ ალა ჭყონია და სხვები რუსთა მხარეზე გადავიდნენ. აღნიშნული პირები იესე გურიელის დახმარებით გადასულან ოზურგეთში და გადანაწილებულან გურიის სხვადასხვა სოფლებში. ამასთან დაკავშირებით XIX საუკუნის სახალხო მთქმელმა ხუსეინ ხაბაზმა გამოთქვა ლექსი :

**„ძველი კაცის ნათქვამია:
ბალი წარეა კატარში,
სალდათი თუ მოითხოვეს,
ბევრი არ გავა თათარში“** (აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები., 1965: 5-31.)

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ გურულ ლექსში მოკლედ ასახულია ქართული მილიციის შეტევების დასაწყისი და მოქმედებები ოსმალთა წინააღმდეგ:

**„რიცხვით აპრილის ცამეტსა,
ათას რვაას სამოცდა თვრამეტსა,
გავიმცხადეს ჩხუბში წასვლა,
და მოვლენა დაგვიმწესა...
გურულებს გვითხრეს შინ წასვლა,
ორი როტა უკან ჰყვესო.
მეგრელიძის სერს მივდექით,
იქ აგვიტყდა სროლა დიდი.
დავწვით, დავლეწეთ, დავსტეხეთ,
რაც ვნახეთ სამე წაღმართი!
ასაშლელადა მივდექით,**

⁸⁰ აჭარა-ქობულეთის განთავისუფლების შემდგომ რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა ყურშუმ ჭყონია და აჭარიდან გადაასახლა. დაპატიმრების მიზეზი ერთი იყო: ყურშუმ ჭყონია ქობულეთელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა... იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მუჰაჯირობაში წასული მცხოვრებლების მიწის ნაკვეთის რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულ მემამულეებზე ჩალის ფასად გადაცემაზე, რომლებმაც აღნიშნულ ნაკვეთებზე მოიწყვეს აგარაკები. მათი დასმენით ყურშუმ ჭყონია დააპატიმრეს (ამასთან დაკავშირებით იხილეთ გაზეთი „დროება“ , N44. 1879 წ.)

წინ გვექონდა დიდი დაღმართი;
ქობულეთის მაზრა დავწვით,
ციხისძირსა იწყეს სროლა,
ალი ფაშა გავაქციეთ,
უკან მიზღვეს მათი მოლა.
ჭანეთის ბეგი მოგვკალით;
ოსმან ბეგსა თან წაჰყოლა.
ბათომს ჩასვლა თუ გვეღირსა
ლექსი გვინდა უფრო გრძელი.
თათრის რჯული უნდა მოვსპოთ

დღეი იყოს მათზე ბნელი“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი,
H – 1992.)

ლექსის დასაწყისშივე შესამჩნევია, რომ ავტორს არასწორად აქვს აღნიშნული ომის დაწყების წელი (1877), თუმცა, სავარაუდოდ, ეს ავტორის მიერ რითმისთვის დაშვებული გააზრებული შეცდომაა.

ქობულეთური ზეპირსიტყვიერების გამრავალფეროვნებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იმ დროინდელ ცნობილ სახალხო მთქმელს, აჭყვისთაველ ხუსეინ ხაბაზს (ქამქარამე), რომელიც გურიის მთავრის ლევან გურიელის, აგრეთვე ალი ფაშა თავდგირიძის თანამედროვე იყო. ზაქარია ჭიჭინაძე პირადად იცნობდა ხუსეინ ხაბაზს: „ხუსეინ ხაბაზი 70 წელში მიღწეული გახლავთ, ქართული წერა-კითხვაც იცის და ქართულ წიგნებსაც კითხულობს. 10 წელი დიარბეჭირსა და ქურთისტანში ყოფილა გავარდნილი. რუსთაგან დასავლეთ საქართველოს ალების შემდეგ, ხუსეინ ხაბაზს უფლება მიეცა შინ დაბრუნების, ეს მალე მოივიდა შინ, დასახლდა და დღემდე მყუდროთ ცხოვრობს თავის ცოლ-შვილში“ (ჭიჭინაძე., 1900: 28.) არსებობს გადმოცემა, რომ თურმე ალი ფაშა თავდგირიძეს თავის რაზმში ხუსეინ ხაბაზის ჩარიცხვა მოუნდომებია, ხუსეინს კი უარი განუცხადებია. ერთხელ ქობულეთიდან მომავალ ფირალს გზაზე ალი ფაშა და მისი მხლებლები შეხვედრიან. რაზმელ აბდულ რახმან აფხაზს ალი ფაშასთვის უთქვამს, ეს არის ხუსეინ ხაბაზი, შენ რომ არად გაგდებსო. ალი ფაშას ყაჩაღის შეპყრობა მოუნდომებია, ახლოს მისულს ფაშასთვის ხანჯალი წაურთმევია, მკლავში დაუჭრია და გაქცეულა. შემდეგ კი ლექსიც შეუთხზავს მასზე:

„ჩიფთე ყარდაში ვიყავი,
ხასან ხუსეინ ხაბაზი,
როდესაც რომ მმოზა გვექონდა,
საქმე ვიცოდი ლამაზი.
ერთი საქმე განიზრახა,
შევეუძახე: - არ ვარ რაზი!
თურმე მე ისე მაფასებს

ვით აბდულ-რახმან აფხაზი...“ (ახვლედიანი, დავითაძე., 1979: 13.)

სხვა გადმოცემით ხანჯალი აბდულ რახმანისთვის გამოურთმევია და ის დაუჭრია.

არსებობს კიდევ ერთი მისი შაირი, სადაც ის თავდგირიძეთა მორჩილად გვევლინება:

**„...ჩვენს ბეგებს ვენაცვალე,
სადაცა რომა თავდგერიძე,
მისგან რომ არ მეწყინება
ყოველ დღე მცემს ჯობი ზურგზე,
სადაც მიხმობს იქ ვენდობი,
კაი ბატონს უღურზე...“** (ჭიჭინაძე., 1900: 13.)

ორივე მოყვანილი ლექსიდან ჩანს, რომ ავტორს თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქობულეთის ბეგთან: **„როდესაც რომ ძმობა გვექონდა, საქმე ვიცოდი ლამაზი.“** თუმცა, როგორც ჩანს მათი ეს დამოკიდებულება მოგვიანებით მტრობით შეიცვალა.

ზეპირიტყვიერებას არ გამორჩენია არც ის ფაქტი, როდესაც დევრიშ ფაშამ სულთანთან უჩივლა ქობულეთის ბეგს. ლალატის მოტივით ალი-ფაშა თავდგირიძე სტამბოლს დაიბარეს:

**„მოწყალევ, ბრეველი გვიცოცხლე
დევრიშ-ფაშა ხვანთრის ხელი
მისი ქება და სახელი
იწერება გაზეთებში.
ბეგები ამოვარდნენ
დასაწვავად ჩვენს ეზოში,
ჩვენი ცოდვა მათ ეყოფათ
ამ დუნია ახირეთში.
გამჩენი ღმერთის წყალობით
ჩვენ კი მივალთ ჩვენ ოჯახში,
თქვენ ბათუმში ვედარ მოხვალთ
ბრძანდებოდეთ მაგ სტამბოლში.
ალი ფაშა თავდგირიძეს**

ემსახურეთ თავის დღეში“ (ახვლედიანი., 1970: 115)

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი არაერთი ნიმუშის მიხედვით ადვილი შესამჩნევია, რომ მოსახლეობა ძირითადად იმ საკითხებზე შაირობდა, რაც ყველაზე მეტად უჭირდათ. ამ პერიოდის ხალხური სიტყვიერება სწორედ ამით არის გამოსარჩევი. არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, თუმცა ყველაზე უფრო თემატური იქნება თუ ავიღებთ ისეთ ფოლკლორულ ნიმუშებს, სადაც ქობულეთის მოსახლეობა ალა-ბეგების გაუსაძლის ბატონობას ლექსად გამოთქვამს. ასეთია ერთ-ერთი ნაწყვეტი ლექსიდან - „ოსმან ბიძიამ მიაძმო“ :

**„ხალხი საწყლად ვიზრდებოდით, არ ყოფილა ჩვენში სკოლა.
ბეგ-ალები თარეშობდნენ, მონა ვიყავთ მათი ყველა.
ქალებს კი ჩადრი ეხურა, ხოჯა ურჩევდა თუ მოლა,
მათი სახელი მოისპო, მგონი ბუნებამ დასწყევლა...“ (ნოლაიდელი., 1940: 177-178.)**

გვხდება შელოცვების სხვადასხვა ვარიანტებიც, რომლის უმრავლესობა ძირითადად აღმოჩენილია ჯემალ ნოლაიდლის მიერ. ჩვენს მიერ მოძიებული შელოცვები უაღრესად საინტერესო და სასარგებლოა იმდროინდელი ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების შესასწავლად. შინაარსიდან გამომდინარე ყურადღება მიიქცია „მშობიარე ქალის შელოცვამ“, რომელიც 1961 წელსაა ჩაწერილი სოფ.მუხაესტატეში ჯემალ ნოლაიდლის მიერ:

**„სამსა მამლისა ყივილსა,
სამებისა მთისა,
სამი ძმანი თავდგირიძე,
ლესვენ ხმალსა,
ჭრიან თავსა,
აქ რა უნდა ავსა.
ქვაბი საფეხურსა,
ბადე საფეხურსა,
საჩეჩელი გვერდსა.**

**უშველე, ღმერთო, და მიეხმარე“ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
ზეპირსიტყვიერება., 2007: 186-196.)**

ზემოთ მოყვანილ შელოცვაში ნახსენებია „სამი ძმანი თავდგირიძე“ (ჰასან,ოსმან და ალი ფაშა თავდგირიძეები), რომლებიც ადგილობრივთა წარმოდგენაში მცველებად და ავი სულის წინააღმდეგ მებრძოლებად ისახებიან. შესამჩნევია ის ფაქტიც თუ როგორაა შემორჩენილი მოსახლეობაში წარმართული და ქრისტიანული მოტივები.

აღა-ბეგების თემა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საჭირობოტოა XIX საუკუნეში ქობულეთელი კაცისთვის. ამას მოწმობს კიდევ ერთი საინტერესო არაკი „ბეგი და ვირი“: „ერთ ბეგს ერთი ვირი ყოლია. როცა მას საბალახოთ გამუშვებდა, ვირი გლეხის ვირებს გაერევოდა და ისე ბალახობდა. ამაზე მეგემ ბეგს გული მოზდიოდა: - როგორ თუ ჩემი ვირი გლეხის ვირებს ერევა და იმაში არაფერი განსხვავება არ აქვსო. ამაზე ბეგს განუძრახავს მისი ვირისთვის ოქროს თავსაბური ეყიდა, ის მისთვის თავზე დიებურა და ისე გიეშვა საბალახოთ, რომ ეცნეს იგი ბეგის ვირი იყო. ბეგმა ასეც მოიქცა. იყიდა ოქროს თავსაბური. დაბურა ვირს და გუშუშვა საბალახოთ. ვირი ისევე მეზობლის ვირებს გიერია. ამ დროზე გამუვლია ერთ გლეხს. უნახავს, რომ ვირი საბურველში ბალახობს. გლეხს უფიქრია - აი რა ეშმაკობაა, აბა რათ უნდა ოქროს ქუდიო!.. უულია ი ქუდი

და იმ გლახს წუღია შინ. ვირი აბა ამას რას მიხტებოდა, თუ რა ებურა მას თავზე და კრინტიც არ დუჟძრავს და წინამდეგობაც არ გუჟწევია. როცა თავშიშველი ვირი შინ მისულა, ბეგი გამჯავრებულა, თუ ეს ვინ გუჟბედა ჩემ ვირსო!.. მეგემ ბეგს ერთი მასხარა მსახური ყოლია და უთქვამს: - ფაშავ!., ვირი ვირობიდან მაინც არ გამოვა, ისტერსან ბრილიანტის ქუდი დაბურევო“ (ნოლაიდელი., 1936: 104.)

1878 წლის ბერლინის კონგრესის თანახმად ომის შედეგად შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას უფლება ჰქონდათ სამი წლის ვადაში გაეყიდათ უძრავი ქონება და გადასულიყვნენ საცხოვრებლად ოსმალეთის იმპერიაში, ან ადგილზე დარჩენილიყვნენ. 1878 წელს კონსტანტინოპოლში შეიკრიბა კომისია, რომელმაც დაადგინა მუჰაჯირობის ქრონოლოგიური ჩარჩოები. გადასახლების ვადა განისაზღვრა 1879 წლის 8 თებერვლიდან 1882 წლის 8 თებერვლამდე (მეგრელიძე., 1974: 92). მოსახლეობის გადასახლებაში მთავარ როლს ადგილობრივი ბეგები და ხოჯები ასრულებდნენ, რომლებიც მოსახლეობას რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე „მიერეკებოდნენ“ ოსმალეთში.

მუჰაჯირთა გასაჭირზე განსაკუთრებული გულისტკივილით იბეჭდებოდა წერილები იმ პერიოდში არსებულ ქართულ პრესაში. გადასახლებული მოსახლეობის რთულ საცხოვრებელ პირობებზე მეტყველებს მრავალი უკან დაბრუნებული მუჰაჯირის ნაამბობი, ან იქედან გამოგზავნილი წერილები, სადაც დიდი სინანული და გულისტკივილია გამოთქმული. ერთ-ერთ წერილში მუჰაჯირი თავის ძმას სწერდა:

„ძმაო, რეჯებ, ღმერთის ნებით იყოს, რომ შინ დავბრუნდე. ქალბაღანას პური არ აქვთ, ტანთ არაფერი აცვიათ, ფარაც არ გვაქვს. გვიშველეთ რაიმეთი. ჩვენ სულ ვკვდებით შიმშილით და სიცივით. ჩვენი ქვეყანა კარგი არის, აქეთ ნუ მოხვალთ, ჩვენი თხოვნა ეს არის“ (ჭიჭინაძე., 1917: 47.)

ხალხურ სიტყვიერებას არ გამორჩენია არც მუჰაჯირობის პროცესის ასახვა. უამრავი ლექსია გამოთქმული ამ რთულ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ლექსებში არ გვხვდება აჭარული შაირისთვის დამახასიათებელი სილაღე და გამოირჩევა სევდიანი კილოთი, რაც განპირობებულია მუჰაჯირთა უსაზღვრო სევდითა და წუხილით, რომელიც მათ საკუთარ სახლთან და ახლობლებთან განშორებამ მოუტანა. მუჰაჯირთა სიმწვავე კარგადაა ასახული ლექსში „ლექსი მუჰაჯირობაზე“ :

**„ხინო მუჰაჯირათ მია, ჭახათლებს სტკივათ მუცელი,
აჭყვისთვლებიც აპირებენ, წყავს რუმ გასცვივა ფურცელი.
ქობლეთლებიც ასე ჩივა, ჩვენ არ გვინდა თათრის პური,
რუსს ავართვათ თეთრი ფული,
გულზე დევკიდოთ მენდლები, ვინცხა მუჰაჯირში წევდა,
შიმშილით წყდება სუნთელი,
ტირილ-ყვირილით მორბიან ოხტომს ზედან კეჭიეთლები.**

**ჩვენ ხინველებს რას ვუყურებთ ხავს ადვები ბარათლები,
მუჰაჯირათ რომ წევიდენ, ჭვირთად წეილეს მანათები.
ქვაბლიანი მათ დააფსეს სერ-გადადმა აჭარლები.**

დეილოცა მათი ჯანი. ჩამოირიგეს ოჯახები“ (ხარაზი., 1993: 403.)

ლექსში გამოხატულია ქობულეთელთა უარყოფითი დამოკიდებულება მუჰაჯირად წასვლასთან დაკავშირებით. „ქობლეთლებიც ასე ჩივა, ჩვენ არ გვინდა თათრის პური,

რუსს ავართვათ თეთრი ფული.“

როგორც ჩანს მათთვის ცნობილი იყო, თუ რა ბედი ელოდათ ოსმალეთში ჩასვლებს. მუჰაჯირობის პროცესი ხანგძლივი და დროში გაწელილი პროცესი იყო, რომელიც 1877-1878 წლების ომამდეც მიმდინარეობდა, შესაბამისად გარკვეული ხმები და წარმოდგენები ადგილობრივ მოსახლეობაში თანდათანობით გაჩნდა, სწორედ ამიტომ აისახა ხალხის ცნობიერება ასე ნათლად ზეპირსიტყვიერებაშიც. „ვინცხა მუჰაჯირში წევდა, შიმშილით წყდება სუნთელი.“

**„...მუჰაჯირათ ვერ წავედით, ახლა რუსებს მივენდევით,
რუსმა ფულები დაგვირდა დღეში სულზე — აბაზები,
ჩვენთვის ყველამ მოისავა, რომ დაფიქრდე, გაშტერდები,
ბელქიმ ხელმწიფე გვიგზავნის, სჭამენ. გზაში მომტანლები,
ფული ვსთხოვეთ, ასე გვითხრეს:— რაზედ - გვესროლეთ თოფები.**

**ჩვენ რომ თოფი არ გვესროლა, ხომ არ ვიყავთ ფოცხოვლები!
ყველა ჩხუბში ასთე ვიყავთ, ჩვენ გახლავართ ქობლეთლები“ (იქვე., 403-404.)**

ამ პერიოდის ნაწარმოებებში გადმოცემულია ოსმალეთში ჩასული ქართველების გაჭირვებული მდგომარეობაც, მათი სინანული და უკან დაბრუნების სურვილი. მაგრამ უკან დაბრუნება როდის იყო ასე ადვილი. ზაქარია ჭიჭინაძე პირადად შეხვდა ერთ-ერთ ქობულეთელს, რომელმაც მოახერხა ოსმალეთიდან დაბრუნება: „ალი-ფაშასგან ერთი გადასახლებული დაბრუნდა საქართველოში, მე ვნახე იგი, დავეკითხე; - აქედამ როცა მიდიოდით ოსმალეთში, რატომ არ ფიქრობდით რომ გაჭირვებაში ჩავარდებოდით?

- ღმერთმა ჰკითხოს ალი ფაშა თავდგირიძეს, შაქირ ფაშა ხიმშიაშვილს, ოსმან ფაშას, ყემბერ ალა ტაკიძეს და ხოჯებს, ჩვენი ცოდვით არ ნახონ მათ კეთილი, სულ მათ მოგვატყუილეს, მათ დავღუპეს, მათის მეოხებით ძლიერ ბევრი ხალხი გაწყდა იქ. ნამეტურ ალი ფაშამ მოგვატყუილა, გვირდებოდა, რომ იქ სულთანისაგან დიდ წყალობას მიიღებთ. ჩენც გავბრიყვდით, ავიყარენით, სახლ-კარი დავღუპეთ და გადავსახლდით ოსმალეთში. მაგრამ იქ ჩვენ არაფერი მოგვცეს, მოგვცეს მეტად ცუდი ადგილები. იმით ჩვენ ვერ ვიცხოვრეთ და ოთხი წლის განმავლობაში 10

ათასზე მეტი მარტო ქობულეთელები გაწყდნენ. აქეთაც აღარ გვიშვებდნენ. ეს გვიყო ალი ფაშამ... მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს ავს მოლა ხოჯებს და ჩვენს წამქეზებელთ და დამღუპავს ფაშებს“ (ჭიჭინაძე., 1896: 28-29.)

ეს აზრია გამოხატული ლექსში „დაგველების მუხაჯირად წასვლა“:

**„დაგველები გამგზავრდენ,
გადიკიდენ ინთები,
შით წააწყვეს საგზოლები,
თურქეთში რომ ჩვეიდენ,
აღარ ქონდენ აფერი,
ერთმანეთსა ხკითხავდენ:
-სადაა ჩვენი ადგილი?
დამირჩენ უკაცრავადა**

აღარ იყო ადგილი.“ (აჭარის ხალხური პოეზია..., 1969: 65.)

განუზომელ სევდასთან ერთად ქობულეთელი მუჰაჯირები არ ჰკარგავდნენ სამშობლოსადმი უდიდეს სიყვარულსა და თავიანთ სახლებში დაბრუნების იმედს:

**„ ბეგიები ამოვარდნენ
ბეგიები ამოვარდნენ
დასაწვავად ჩვენს ეზოში,
ჩვენი ცოდვა მათ ეყოფათ
ამ დუნია ახირეთში.
გამჩენი ღმერთის წყალობით
ჩვენ კი მივალთ ჩვენ ოჯახში...“** (იქვე.)

დასკვნა: ამგვარად, აჭარული (ქობულეთური) ფოლკლორი, მდიდარია ხალხური ზეპირსიტყვიერის ნიმუშებით. გამუსლიმებული ქართველი კაცის გასაჭირის გადმოტანა ლექსებში, სიმღერებში, არაკებში თუ შელოცვებში, ფაქტია, ხშირი მოვლენა იყო. ომმა განსაკუთრებული გავლენა იქონია ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებზე და განსაკუთრებით ქობულეთზე, რომელიც იმდროისათვის საზღვრისპირა რეგიონი და ომის ერთ-ერთი საბრძოლო ეპიცენტრი გახლდათ. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა გამოიწვია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან, რასაც თან ახლდა დიდი ადამიანური დანაკარგი, ეკონომიკური სიდუხჭირე და მუჰაჯირობის პროცესი, რომელმაც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე „გადაისროლა“ და მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტა ძირძველი ქართული მოსახლეობა. ყოველივე ამ პროცესებმა, ბუნებრივია, ფოლკლორული ნიმუშებშიც ჰპოვა სათანადო ასახვა, რომელიც დღემდე შემორჩა ამ კულტურითა და ტრადიციებით მდიდარ მოსახლეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკად. ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, **H – 1992.**
2. **ახვლედიანი, 1970:** - ახვლედიანი, ა. აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი - 1970.
3. **აჭარის ხალხური პოეზია.., 1969:** - [კრებული]. ნაწ. I / შეადგინეს, შენიშვნების, საძიებლები, სიტყვების ახსნა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ახვლედიანმა, ე. ზოიძემ, ზ. თანდილავამ და სხვ. ; ა. ინაიშვილის რედ. და შეს. წერილით] ; ბათუმის სამეცნ-კვლევ. ინ-ტი. გამომცემლობა: „მეცნიერება“, თბილისი, 1969.
4. **აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები.., 1965:** - ახვლედიანი ა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჭარის საისტორიო მეტყველება, კრებული, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965.
5. **ახვლედიანი., 1956:** - ახვლედიანი. ხ. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956.
6. **ახვლედიანი, დავითაძე., 1979:** - ახვლედიანი. ა, დავითაძე. ე. ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო : სახალხო მელექსეთა ბიოგრაფიები და მასალები. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი - 1979.
7. **„ბრძოლის დროშა“., 1956:** - „ბრძოლის დროშა“. ჩოხატაური, 1956, 3 ივნისი, N66.
8. **განთიადი., 1915:** - განთიადი / რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე. ქუთაისი, 1915. N14.
9. **ერქომაიშვილი., 2000:** - ერქომაიშვილი ა. „ჩემი წინაპარი“, ჟურნალი „მნათობი“, N1-2, 2000 წ.
10. **„ივერია“., 1891:** - „ივერია“. 1891. N184.
11. **კომახიძე., 1997:** - კომახიძე თ. ქობულეთი და ქობულეთელები, ბათუმი - 1997.
12. **მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან., 1961:** - ინაიშვილი ა. მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან [ნოტი] / ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გრ. ჩხიკვაძე ; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.
13. **მეგრელიძე., 1974:** - მეგრელიძე შ. საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბილისი, 1974.
14. **მონტეფიორე., 2009:** - საიმონ სეზაგ მონტეფიორე. ახალგაზრდა სტალინი, ინგ. თარგმნა ნანა დიხამინჯიამ, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
15. **ნოღაიდელი., 1940:** - ნოღაიდელი ჯ. აჭარის ხალხური სიტყვიერება - წიგნი II, ბათუმი, 1940.

16. **ნოღაიდელი., 1971:** - ნოღაიდელი ჯ. ნარკვევები და ჩანაწერები წ I, „საბჭოთა აჭარა“ - ბათუმი, 1971.

17. **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება., 2007:** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება / საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ; ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი. ბათუმი, 2007. 1987-5258 ტ. XII.

18. **ჭიჭინაძე., 1900:** - ჭიჭინაძე ზ. ლექსები თქმული ხუსეინ ხაბაზ ქამჯარაძისგან, სტამბა მ.შარქაძისა და ამხანაგობისა, თფილისი, 1900.

19. **ჭიჭინაძე., 1896:** - ჭიჭინაძე ზ. თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე, სტამბა კ.თავართქილაძისა, ახალ-სენაკი, 1896.

20. **ჭიჭინაძე., 1917:** - ჭიჭინაძე ზ. ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, 1917.

21. **ხარაზი., 1993:** - ხარაზი მ. აჭარის სახალხო მეღეესეთა ანთოლოგია, ბათუმი, 1993.